

შელავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებულ პირთან
განხორციელებული ოპერაცია 2619

ფაქტობრივი
გარემოებები

შპს „X“-მა 2017 წლის აპრილის თვეში 60 000 ლარად შეიძინა შელავათიანი დაბეგვრის ქვეყანაში რეგისტრირებული კომპანიის მიმართ არსებული 100 000 ლარიანი მოთხოვნა. თანხა გადახდილი იქნა მაისის თვეში.

შპს „X“-მა 2017 წლის დეკემბრის თვეში უარი თქვა მოთხოვნაზე და 100 000 ლარი აპატია კომპანიას.

საწარმოს საგადასახადო ანგარიშგება მოგების გადასახადში არ მოუხდენია.

შეფასება

სსკ-ის 98² მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შელავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის სესხის გაცემა ან/და ამ პირის მიმართ არსებული მოთხოვნის შესაძენად განხორციელებული გადახდა.

ამასთან, სსკ-ის 98² მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება ზარალი, რომელიც წარმოშობილია შელავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის მოთხოვნის უფლების გადაცემით ან მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმით.

ღონისძიებები

საწარმოს დაერიცხება კუთვნილი მოგების გადასახადი და დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლით, მოგების გადასახადის დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირებისათვის.

საწარმო ვალდებული იყო, 2017 წლის მაისის თვეში მოთხოვნის უფლების შესაძენად გადახდილი თანხა 60 000 ლარი დაებეგრა მოგების გადასახადით და ბიუჯეტში გადაეხადა 10 588 ლარი ($60\,000/0,85*15\%=10\,588$).

2017 წლის დეკემბრის თვეში, მაშინ როდესაც მოთხოვნაზე საწარმომ უარი თქვა, იგი ვალდებული იყო, მოგების გადასახადით დაებეგრა ნაპატიები მოთხოვნის შედეგად წარმოშობილი ზარალი 60 000 ლარი და ბიუჯეტში გადაეხადა 10 588 ლარი ($60\,000/0,85*15\%=10\,588$).

➤ სიტუაციური სახელმძღვანელო ეხება შემთხვევას, როდესაც შპს „X“ მოგების გადასახადით იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით

ანოტაცია
„შელავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებულ პირთან განხორციელებული
ოპერაცია“ №2619
სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს შელავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებულ პირთან განხორციელებული ოპერაციის მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, შპს „X“-მა 2017 წლის აპრილის თვეში 60 000 ლარად შეიძინა შელავათიანი დაბეგვრის ქვეყანაში რეგისტრირებული კომპანიის მიმართ არსებული 100 000 ლარიანი მოთხოვნა. თანხა გადახდილი იქნა მაისის თვეში. შპს „X“-მა 2017 წლის დეკემბრის თვეში უარი თქვა მოთხოვნაზე და 100 000 ლარი აპატია კომპანიას.

საწარმოს საგადასახადო ანგარიშგება მოგების გადასახადში არ მოუხდენია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98² მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შელავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის სესხის გაცემა ან/და ამ პირის მიმართ არსებული მოთხოვნის შესაძენად განხორციელებული გადახდა.

ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98² მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება ზარალი, რომელიც წარმოშობილია შელავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის მოთხოვნის უფლების გადაცემით ან მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმით.

შესაბამისად, საწარმო ვალდებული იყო, 2017 წლის მაისის თვეში მოთხოვნის უფლების შესაძენად გადახდილი თანხა 60 000 ლარი დაებეგრა მოგების გადასახადით და ბიუჯეტში გადაეხადა 10 588 ლარი ($60\,000/0,85 \cdot 15\% = 10\,588$). 2017 წლის დეკემბრის თვეში, მაშინ როდესაც მოთხოვნაზე საწარმომ უარი თქვა, იგი ვალდებული იყო, მოგების გადასახადით დაებეგრა ნაპატიები მოთხოვნის შედეგად წარმოშობილი ზარალი 60 000 ლარი და ბიუჯეტში გადაეხადა 10 588 ლარი ($60\,000/0,85 \cdot 15\% = 10\,588$).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს დაერიცხება კუთვნილი მოგების გადასახადი და დაჯარიმდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლით, მოგების გადასახადის დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირებისათვის.